მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მირკაზუმ იაგუბოვის შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ო ქ მ ი N2

ქ. მარნეული **13.09.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - მირკაზუმ იაგუბოვი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდა- შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების:არაფლო,ახლომახმუდლო,ენიკენდი,სეიდ გოჯალო,იმირი,იმირჭალის მოსახლეობა,ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი ,ხოშგადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მირკაზუმ იაგუბოვის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მირკაზუმ იაგუბოვმა შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (არაფლო,ახლომახმუდლო,ენიკენდი,სეიდგოჯალო,იმირი,იმირჭალა)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო შულავერის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.აღინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ არაფლოში განხორციელდა გარე განათების მოწყობა,სკოლის რეაბილიტაცია.სოფელ სეიდგოჯალოში სოფლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა განხორციელდა.სოფელ

ახლომახმუდლოში და სოფელ ენიქენდში გარე განათება მოეწყო.სოფელ იმირში სასმელი წყლის ჭაბურღილისა და სატუმბო სადგურის მოწყობა განხორციელდა. არქეოლოგიური ძეგლის (გადაჭრილი გორა) შემოღობვა,გარე განათება.სოფელ იმირჭალაში გარე განათების სამუშაოები შესრულდა.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი ენიქენდის მოსახლეობას.ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია ნაგვის ურნების არ ქონა სოფელში,სასმელი წყლის რეაბილიტაცია რატა წნევა მოემატოს წყალს და ასევე სარწყავი წყლის არხების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება.

სოფელი არაფლოს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;საბავშვო ბაღი,გარე განათება,ტრამპლინი და სოფელში ნაგვის ურნების არ ქონა დაასახელა.

სოფელი ახლომახმუდლოს მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სკოლის მშენებლობა,სარწყავი წყლის არხების გაწმენდა და საბავშვო ბაღის მშენებლობა დაასახელა.

სოფელი სეიდგოჯალოს მოსახლეობამ პრობლემად გარე განათების მოწყობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი გაჩერების მშენებლობა,შიდა გზების მოასფალტება და სასმელი წყლის რეაბილიტაცია(წნევის მომატება),დაასახელა .

სოფელი იმირის მოსახლეობამ სოფლის პრობლემათა ჩამონათვალში დაასახელა შიდა გზების მოასფალტება ,სკოლის მშენებლობა,ამბულატორიის მშენებლობა და გარე განათების დამონტაჟება.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, შულავერის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის მირკაზუმ იაგუბოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.